ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1820656

ნომერი: AR1297115

თარიღი : 26.03.2015

გაცემის თარიღი : 03.04.2015

გაცნობის თარიღი : 03.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , I შესახვევი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მეგი სარიშვილი პ/ნ 60001132387
- ქუთაისი დ.ნამგალაძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობის (მანქანის დასადგამი პოდიუმის) განთავსების (2015 წლის 2 მაისამდე) სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), კოსტავას I შეს. N3–ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობის (მანქანის დასადგამი პოდიუმის) განთავსების (2015 წლის 2 მაისამდე) სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. ''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 02.04.2015 № QN1297974 გადაწყვეტილება; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 19.02.15წ. N12/15047581–12 წერილი; შ.პ.ს. "ასტორია – 1"–ის დირექტორის, შამილ ლუკმანოვის მიდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N150068533; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), კოსტავას I შეს. N3–ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა–ნაგებობის (მანქანის დასადგამი პოდიუმის) განთავსების (2015 წლის 2 მაისამდე) სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას. სამუშოების განხორციელებამდე აღნიშნული შეთანხმდეს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან.

გაითვალისწინეთ, რომ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge